



დიტერ ბოდენი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია

2010 წლის 20 მაისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაეროს გენერალური მდივნის ყოფილი სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში - დიტერ ბოდენი ეწვია. გერმანელი დიპლომატი საქართველოში ამჟამად ბოშის ფონდის წარმომადგენლის სტატუსით ჩამოვიდა.

სტუმარი რექტორს, პროფესორ ჯონი აფაქიძეს და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შეხვდა. არაოფიციალურ შეხვედრაზე უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების, სამომავლო გეგმებისა და პერსპექტივების შესახებ ისაუბრეს.

დიტერ ბოდენმა აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია კარგი ურთიერთობა ჰქონდეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სსუ რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ ხაზი გაუსვა, რომ დიტერ ბოდენს უაღრესად დიდი გამოცდილება აქვს დიპლომატიურ ურთიერთობებში და იმედი გამოთქვა, რომ სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში გარკვეულ მონაწილეობას მიიღებს ჩვენს აფხაზ თანამოძმეებთან ურთიერთობის განვითარებაში."